

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლევან ჯანგულაშვილი

საქართველოს საბანკო სექტორის სტრატეგიული
განვითარების მიმართულებები

ფინანსების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა - 0204 შიფრი

თბილისი

2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი:

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი:

/გ. ცაავა /

ოფიციალური რეცენზენტი

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი:

//

ოფიციალური რეცენზენტი

მოწვეული პროფესორი:

/ /

დაცვა შედგება 2016 წლის ----- ივლისს ----- საათზე, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერ-
ტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია -----
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

პროფესორი

/ს. ხიზანიშვილი/

Summary

Under the financial globalization there is a need of financial market members national orientation strategy which will be based on government plans and interests, implementation of restrictions on capital withdrawal and will be appropriate with the formation of complex systems of risk management, also it will be based on business development.

Banking system represents one of the complex and necessary field which is characterized by the features of development and determines effectiveness of economic system overall. At the same time banking system in some point is a separate autonomous “world” which is characterized by special own regularities of the development. If we discuss according to medical analogue, “money” is a blood of economy and entirely “banking system” – its blood conducting artery and hence we can admit that “banks” are undoubtedly “heart” which impacts on the viability, activities and the development of the economy and through blood conducting system it implements propulsion of blood (money).

It's also important to note that the similar service as the so-called “money pump” is under way in modern banking system where attraction of significant volume (80-90% of bank resources) of free funds is implemented and it is directed to the borrower through lending in the economy. It is also important to mention that on the basis of multiplier in the banking system it is available to create multiple increased new non-cash monetary supply of existing credit resources of quite significant volume which may cause the complication of inflation process in case of ignoring it in the country. Bases on the above mentioned it can be noted that in the countries of market economies in the modern banking system basically bank accounts are used for the payment and in the form of cheques, credit cards, non-cash payments – era of banking money is formed.

Under the conditions of the realization of systemic risks of financial globalization the deficit and variety of scientific development dedicated to the formation of a new strategy define the discussions of many issues discussed in the dissertation and it is necessary to systematize the researches, theoretical expansion and allocation of new perspective directions.

The goal of the dissertation under the conditions of the development of national systems, globalization of financial crisis of the commercial banks, lies upon the theoretical-methodological justification of the realization of integration strategy that insures their sustainability. The algorithm of how to reach the goal provides to solve the tasks gradually.

The object of the research represents the commercial banks which in the process of interaction and functioning of various branches of the national financial-credit system and on the basis of the alteration of interaction of counter agents and interdependence makes the realization of new concepts. The subject of the research is the tendencies of the realization of development strategies of the Georgian commercial banks, economic conditions, national instruments and mechanisms. Theoretical-methodological basis of the dissertation is the conceptual researches of the peculiarities of financial globalization based on financial theory, theory of the system and systemic analysis, economic synergy, instrumental economy, new economy, theory of credit and banking, theory of contracts and risk management. It was formed on the basis of the official data of State Statistics Office, statistic and informational-analytical office of the Georgian National Bank, leading commercial banks of

Georgia, monographic studies, materials of domestic and foreign scientists, conferences, author's calculations and internet resources.

As a normative-legal base the following regulations are used: Organic law of Georgia "On the National Bank of Georgia", Georgian law "On the Commercial Banks", also resolutions and instructions of the National Bank of Georgia.

Instrumental-methodological approach is based on the systemic-functional approach and utilization of the overall scientific methods of the logical and situational analysis. Expert evaluation of financial sustainability and sufficiency of the capitals of commercial banks, the methods of the development of forecasting and software dynamic ranges, techniques of tabular and graphical interpretation of empirical and factual information and others are used in the dissertation.

The basic scientific novelty of the research results are the following issues: disproportions of the reduction of the sustainability of national financial-credit system are identified and new sources of the resources for banks and necessities of raising of techniques of their attraction are identified; factors impact on the changes of the profit of economic behavior of bank clients are allocated that allows to detect the peculiarities of the development of strategies of financial-credit institutions of Georgia; advantages and restrictions of credit and deposit strategies of Georgian banks are proved first of all on the basis of the evaluation of percentage risks according to obligations; possible scenes of the development of the management of financial sustainability and financial-credit institutions are discussed that define the following algorithm of the behavior of bank management: address to shareholders, finding a strategic partner, utilization of the recapitalization mechanism with the state participation which includes the usual purchase of shares, issue of long-term credits and exchange of special issues of obligations of "problematic" assets; the reasons of liquidity crisis in the banking sector of Georgia are set connected with the low quality of resource base, transformational problems of long-term investments of short-term sources, restrictions in the management system of assets and liabilities. The necessity of the formation of a new strategy is connected with the formation of the mentioned sustainable resource base which is a prerequisite for the development of actualization basis of which should become the equity capital and term deposits, also before the demand the share of deposits in the deposit base of credit organization should be minimized; factors minimizing the financial sustainability of banks are defined (high lending risks as a result of the reduction of reliability of the borrower; strategy of the reduction of portfolio directed to the restricted norms of the demand of capital sufficiency), which enables to justify the determination of forms and methods of the management of sustainability of financial-credit instruments from the imperatives of the reduction of "problematic" assets, finding the ways to raise the capitalization of banks; the reasons of the growing role of the technologies of risk evaluation in the elaboration of the strategy development of large banks are allocated which with the realization of a new system of risk management based on informational-financial instruments and in the competitive advantages of financial-credit institutions, provision of the transformation of the values of intangible assets, management of the development of integrated financial structures enables to provide a qualitatively new role of information and informational technologies; priority tasks of informational system of the banking risk management are formed on the basis that the alteration of one type of risk causes the alteration of other types of risks and complicates the selection of the method of the analysis of specific risk level. On the basis of the informational integration between offices new methods are suggested for informational mass of banking risks. Reduction of transaction expenses and business

adaptation towards the risks of liquidation with the help of the formation of a new model of informational-financial interaction enables the allocation of the interacting business operations complex which provides the sustainability of competition of the bank.

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალურობა. ფინანსური გლობალიზაციის პირობებში ფინანსური ბაზრის მონაწილეების ეროვნულად ორიენტირებულობის სტრატეგია არის საჭირო, რომელიც სახელმწიფოს გეგმებთან და ინტერესებთან, კაპიტალის გამოყვანაზე შეზღუდვების დანერგვასთან და რისკების მართვის კომპლექსური სისტემების ფორმირებასთან შესაბამისობაში, ბიზნესის განვითარებაზე იქნება დაფუძნებული.

ამიტომ, საქართველოს კომერციული ბანკების განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი პორტფელებისა და ინსტრუმენტების დივერსიფიკაცია უნდა მოხდეს, რომელიც რისკების რეალიზაციისაგან დანაკარგების მინიმიზირების შესაძლებლობას იძლევა. ფინანსური რეგულირების ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის საბანკო რისკების მართვის ინსტიტუციური მექანიზმი უნდა იქნეს შემუშავებული, რომელიც სამამულო და უცხოელი ინვესტორებისათვის მიმზიდველი მდგრადი ფინანსური ბაზრის განვითარებაზე იქნება დაფუძნებული. კომერციული ბაზრებისათვის თანამედროვე პირობებში მთავარ ამოცანებს საიმედო ინსტრუმენტების, ტექნოლოგიებისა და კლიენტის მოზიდვის მეთოდების მოძიების პრობლემა წარმოადგენს.

საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს და აუცილებელ სფეროს წარმოადგენს, რომელიც განვითარების თავისებურებებით ხასიათდება და მთლიანად ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობას განსაზღვრავს. ამავე დროს, საბანკო სისტემა, გარკვეული აზრით, ცალკე ავტონომიური „სამყარო“, რომელსაც განვითარების საკუთარი სპეციფიკური კანონზომიერებები ახასიათებს. სამედიცინო ანალოგიის შესაბამისად თუ ვიმსჯელებთ, „ფული“ ეკონომიკის სისხლია, ხოლო მთლიანად „საბანკო სისტემა“ კი - მისი სისხლგამტარი არტერიებია, და აქერდან გამომდინარე შეიძლება ვაღიაროთ, რომ „ბანკები“ - უეჭველად, „გულია“, რომელიც ეკონომიკის

სიცოცხლისუნარიანობაზე, საქმიანობაზე და განვითარებაზე ზემოქმედებს და სისხლგამტარი სისტემების მეშვეობით სისხლის (ფულის) გადატუმბვას ახორციელებს.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამედროვე საბანკო სისტემაში ე.წ. „ფულადი ტუმბოს“ მსგავსი მომსახურება მიმდინარეობს, სადაც თავისუფალი სახსრების მნიშვნელოვანი მოცულობის (საბანკო რესურსების 80–90 %-მდე) მოზიდვა და მათი ეკონომიკაში, დაკრედიტების მეშვეობით მსესხებლისაკენ მიმართვა ხორციელდება. ამასთან, ისიც არის უმნიშვნელოვანესი, რომ საბანკო სისტემაში მულტიპლიცირების საფუძველზე, თავისთავად, არსებული საკრედიტო რესურსების საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის, მრავალჯერადად გაზრდილი ახალი უნაღდი ფულადი მასის შექმნა არის შესაძლებელი, რომლის გაუთვალისწინებლობა შეიძლება ქვეყანაში ინფლაციური პროცესების გართულების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიც კი იყოს. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში თანამედროვე საბანკო სისტემაში ანგარიშსწორებებისათვის ძირითადად საბანკო ანგარიშები გამოიყენება და ჩეკების, საკრედიტო ბარათების, უნაღდო ანგარიშსწორების სახით - საბანკო ფულის ერა ყალიბდება .

მიმდინარე კრიზისის სიღრმე და წარმოშობადი პრობლემების სისტემურობა იმის გააზრების შესაძლებლობას იძლევა, რომ ფინანსური გლობალური სისტემის ძირითადი საფუძველებია ხელყოფილი. ფინანსური გლობალიზაციის კრიზისი გაურკვევლობას, რისკების შესაძლებლობას აძლიერებს, ამიტომ შიდა რესურსებზე ორიენტირებული ბანკების განვითარების ახალი სტრატეგია ამა თუ იმ პირობებისათვის განვითარების წინასწარ გათვლილი სცენარების საფუძველზე უნდა იქნეს ფორმირებული. სამამულო საბანკო სისტემის საიმედოობის ამაღლება კრიზისის შემდგომი ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა გახდეს.

პრობლემის მეცნიერულად დამუშავების ხარისხი. ლიკვიდობის, ფინანსური მდგრადობის, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების შიდა სტრუქტურული კავშირების ორგანიზაციის მართვის კონცეფციების ფუნდამენტური თეორიული დებულებების განვითარებით განისაზღვრება. გლობალური ეკონომიკური კრიზისის, ფინანსური გლობალიზაციის გამაძლიერებელი რისკების პრობლემები და კომერციული ბანკების ფუნქციონირების სტრატეგიის თვისებურებების გამოვლენაზე მიმართულია მართვადი ზემოქმედებების სხვადასხვაგვარი ასპექტები თავისთავად, ბოლო პერიოდში, თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთ წამყვან და აქტუალურ მიმართულებას წარმოადგენს.

ფინანსური გლობალიზაციის განვითარების სხვადასხვა მიმართულებების ანალიზში, მისი თავისებურებებისა და ეკონომიკური შედეგების განსაზღვრაში, სტრატეგიული მიდგომების ჩრჩობებში საფინანსო-საკრედიტო სფეროში განუსაზღვრელობის გაძლიერებაზე გლობალიზაციური პროცესების ზემოქმედებაში, მსოფლიო ფინანსური ნაკადების მოძრაობის ცვლილებასთან დაკავშირებული სისტემური რისკების შეფასების საჭიროების, ახალ გეოგრაფიულ პირობებში ფინანსური სისტემის ცვლილების ინსტიტუციონალური ასპექტების განსაზღვრაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს უცხოელი მკვლევარების ნაშრომებმა, როგორცაა: მ. ლოკი, პ. კრუმანი, ჯ. მ. კეინსი, გ. მარკოვიცა, მ. მილერი, ფ. მოდილიანი, ჯ. სოროსი. ჯ. სტიგლერი. ფ. ხაეკი, პ. ხირსტი.

მსოფლიო მეურნეობის ყველა რეგიონზე და სექტორზე გავრცელებული ფინანსური გლობალიზაციის თანამედროვე პროცესების თავისებურებებმა ეროვნული საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებისა და მათი კონტრაგენტების განვითარების საგარეო და შიდა ფაქტორებს შორის თანაფარდობა შეცვალეს. გლობალური ფინანსური ბაზრის უმსხვილესი ეკონომიკური აგენტების სტრატეგიამ, რომლებიც ფინანსური კონტროლის მეთოდებზე და გლობალური ფუნქციონირების ახალი პირობების, ინსტრუმენტებისა და მექანიზმების წარმოშობას შეუწყო ხელი.

ფინანსური ბაზრის ახალი მოდელის განვითარების პირობებში, ფინანსური ინსტიტუტების განვითარების ინსტრუმენტებისა და მექანიზმების ფორმირებაზე ფინანსური გლობალიზაციის ზემოქმედების საკითხები ფართოდაა წარმოდგენილი მეცნიერ-ეკონომისტებისა და პრაქტიკოსების ნაშრომებში, როგორებიცაა: მ. არხიპოვი, ვ. ბელოუსოვი, ო. ბოგომოლოვი, ე. კოჩეტოვი, ლ. კრასავინა, ო. ლავროშინი, მ. რომანოვსკი, ვ. ჩეკმარევა, ა. ინგოროყვა, ზ. ჩხაიძე, გ. გამსახურდია, გ. მალაშხია, გ. ხელაია, ი. მესხია, დ. იაკობიძე და სხვები.

გლობალიზაციისა და ფინანსური კრიზისის თეორიულ-მეთოდოლოგიური კვლევები ეკონომიკის საფინანსო საკრედიტო სექტორის თავისებურებებისა და საკრედიტო ურთიერთობების ინფრასტრუქტურის ცვლილების ვექტორის, თანამედროვე საკრედიტო ინსტრუმენტების, დაკრედიტების ფორმებისა და მეთოდების ინსტიტუციონალური ანალიზის კონტექსტში მოიცავენ: ვ. ალშინის, ტ. დუბროვსკაიას, ს. ილიასოვის, ვ. ოვჩინიკოვის, ვ. ტამბოვცევის, ა. ქუთათელაძის, მ. ვანიშვილის, გ. ცაავას, რ. ბურდიაშვილის, ი. კოვზანაძის, ვ. მოსიაშვილის, მ. კაკულიას, გ. ხანთაძის, კ. დიმიტრიშვილის, ვლ. ასათიანის, ი. ფიჩხაიას, მ. ჭელიძის, მ. მაისურაძის, ზ. ლიპარტიას და სხვების ნაშრომები.

ამასთან ერთად, ეროვნული კომერციული ბანკების საიმედოობის უზრუნველყოფის კონტექსტში ფინანსური გლობალიზაციის კონტექსტში კრიზისის პირობებში კომერციული ბანკების განვითარების თავისებურებებთან დაკავშირებული პრობლემები სამეცნიერო ლიტერატურაში ფრაგმენტულადაა განხილული. საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების განვითარების სტრატეგიის ახალ მიმართულებას, აგრეთვე განუსაზღვრულობის შემცირების ინსტრუმენტების ტექნოლოგიებისა და მექანიზმების ფორმირებასთან მიმართებაში რეკომენდაციებს, ფინანსურ კრიზისამდე საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების მდგრადობის მხარდაჭერის მიზნით რისკების მართვას ეკონომიკურ ლიტერატურაში

უმნიშვნელო ყურადღება ექცეოდა, რამაც ფინანსური გლობალიზაციის მთლიანი სისტემის კრიზისამდე მიგვიყვანა.

ფინანსური გლობალიზაციის სისტემური რისკების რეალიზაციის პირობებში განვითარების ახალი სტრატეგიის ფორმირებაზე მიძღვნილი სამეცნიერო დამუშავების დეფიციტი და ნაირსახეობა სადისერტაციო ნაშრომში განხილული მრავალი საკითხების დისკუსიურობას განსაზღვრავს, და ისინი კვლევების სისტემაზიტიზაციას, თეორიულ გავრცობას და ახალი პერსპექტიული მიმართულებების გამოყოფას საჭიროებს.

კვლევის მიზანი და ამოცანები: სადისერტაციო ნაშრომის მიზანი კომერციული ბანკების ეროვნული სისტემის განვითარების, ფინანსური კრიზისის გლობალიზაციის პირობებში მათი მდგრადობის უზრუნველყოფელი ინტეგრაციული სტრატეგიის რეალიზაციის თეორიულ-მეთოდოლოგიურ დასაბუთებაში მდგომარეობს.

დასახული მიზნის მიღწევის ალგორითმი ითვალისწინებს რიგი ეტაპობრივი ამოცანების გადაწვეტას:

- გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო ფინანსური ბაზრის განვითარების მიმართულებებისა და ძირითადი ტენდენციების განხილვა;
- საფინანსო-საკრედიტო მომსახურებების ბაზრის ეკონომიკური აგენტების ფინანსური ქცევის მოდელების ცვლილების უზრუნველყოფელი ფაქტორების წარმოდგენა;
- მაჩვენებლების, როგორც საბანკო რისკების მართვის ინსტრუმენტის დაბალანსებული სისტემის დასაბუთება;
- ბანკებისა და ინტეგრაციული ფინანსური ჯგუფების კონკურენტული უპირატესობების ფორმირებაში განვითარების სტრატეგიის როლის გაანალიზება; კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის შეფასების ფუნქციონალური შესაძლებლობების, მეთოდების, ტექნოლოგიებისა და ინსტრუმენტების შეფასება;
- საქართველოს ბანკების ფინანსური მდგრადობის შეფასების მეთოდებისა და ინსტრუმენტების შეთავაზება;
- ფინანსური გლობალიზაციის პირობებში საბანკო რისკების შეფასება;

- საქართველოს საფინანსო საკრედიტო ინსტიტუტების ფუნქციონირების თანამედროვე პირობებში რისკების გამოვლენის თავისებურებების გამოვლენა;
- კომერციული ბანკების ლიკვიდობის ინსტრუმენტებისა და დამრთვის ტექნოლოგიების დახასიათება;
- საფინანსო საკრედიტო ინსტიტუტების რისკების კონტროლისა და რეგულირების საინფორმაციო-ქსელური სისტემის წარმოდგენა;
- კომერციული ბანკების რისკების შემცირების ახალი ინსტრუმენტების შეთავაზება.

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს კომერციული ბანკები, რომლებიც ეროვნულ საფინანსო-საკრედიტო სისტემის სხვადასხვა რგოლების ფუნქციონირებისა და ურთიერთქმედების პროცესში კონტრაგენტების ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების ცვლილების საფუძველზე განვითარების ახალი კონცეფციების რეალიზაციას ახდენენ. კვლევის საგანია საქართველოს კომერციული ბანკების განვითარების სტრატეგიის რეალიზაციის ტენდენციები, ეკონომიკური პირობები, ეროვნული ინსტრუმენტები და მექანიზმები. სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენენ ფინანსური გლობალიზაციის თავისებურებების კონცეპტუალური კვლევები, რომლებიც ფინანსურ თეორიაზე, სისტემების თეორიაზე და სისტემურ ანალიზზე, ეკონომიკურ სინერგეტიკაზე, ინსტრუმენტალურ ეკონომიკაზე, ახალ ეკონომიკაზე, კრედიტისა და საბანკო საქმის თეორიაზე, კონტრაქტებისა და რისკ-მენეჯმენტის თეორიაზე არის დაფუძნებული.

კვლევის საინფორმაციო-ემპირიული ბაზა. ფორმირდებოდა სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური და საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურების, საქართველოს წამყვანი კომერციული ბანკების, მონოგრაფიული კვლევების, სამამულო და უცხოელი მეცნიერების, კონფერენციების, ავტორისეული გაანგარიშებებისა და ინტერნეტ-რესურსების მასალების ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

კვლევის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სახით გამოყენებულია: საქართველოს ორგანული კანონი „ეროვნული ბანკის საქმიანობის შესახებ“, საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის დადგენილებები და ინსტრუქციები.

ინსტრუმენტალურ-მეთოდოლოგიური აპარატი დაფუძნებულია სისტემურ-ფუნქციონალურ მიდგომაზე და ლოგიკური და სიტუაციური ანალიზის კვლევის საერთო მეცნიერული მეთოდების გამოყენებაზე. ნაშრომში კონკრეტული გამოყენება მოიპოვა კომერციული ბანკების კაპიტალის ფინანსური მდგრადობისა და საკმარისობის ექსპერტული შეფასების, მონოგრაფიული კვლევების, დინამიური რიგების, პროგრამულ-პროგნოზული დამუშავების მეთოდებმა, ემპირიულ-ფაქტოლოგიური ინფორმაციების ინტერპრეტაციის ცხრილურმა და გრაფიკულმა ხერხებმა და სხვებმა.

კვლევის ლოგიკა მდგომარეობს ფინანსური გლობალიზაციის პირობებში კომერციული ბანკების ევოლუციური დინამიკის, განვითარების ტენდენციების შესწავლის შედეგად საგნის გაგების განვითარებაში, რომელიც ფინანსური მდგრადობის ზრდაზე მიმართული საფინანსო-საკრედიტო ინსტრუმენტების გამოყენების მეშვეობით, სოციალურ-ეკონომიკური დანახარჯების, და შემდგომ - ბანკების განვითარების ახალი საფინანსო-ეკონომიკური პირობებისადმი ადაპტაციის მიზნით, რისკების მართვის პროცესის მოდერნიზაციას, აქტივების კონსოლიდაციის ხელშემწყობი როგორც ფორმის ინტეგრირებული ფინანსური ბიზნეს-ჯგუფების ფორმირების აუცილებლობის დასაბუთებისათვის, სისტემური საბანკო კრიზისის ფორმირების, მისი შედეგების, კრიტერიუმების გამოვლენისადმი მისი შეფასების კლასიკური და თანამედროვე მეთოდების გამოვლენის საფუძველზე ხორციელდება.

კვლევის კონვენცია ეფუძნება საბანკო სექტორის ახალი ამკროეკონომიკური პირობებისადმი შეთანაწყობის, ასევე საინფორმაციო-ფინანსური მართვის ანტიკრიზისული სტრატეგიის კონკურენტული დეტერმინაციის აღიარების, დერეგულირების, ლიბერალიზაციის პროცესების გამომხატველი ფინანსური გლობალიზაციის ეკონომიკური შედეგების გამოვლენას და მდგომარეობს დებულების წამოყენებაში იმის შესახებ, რომ ზოგიერთი საბაზრო პოზიციების გადაფასების გამო, განუსაზღვრელობის ზრდის პირობებში, ბანკების მაღალი საკრედიტო ექსპანსიის, აქტივების ხარისხის

შემცირების, საკრედიტო რისკის გადიდების, ბანკების საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში დავალიანებისა და ზარალის ზრდის პირობებში, ხორციელდება ბანკების გადახდისუნარიანობის მასიური გაუარესება, საფინანსო-საკრედიტო ოპერაციების შენელება, რასაც საბანკო აქტივების რეალური ღირებულების შემცირებისაკენ, ასევე საბანკო სისტემის მიერ ფინანსური რესურსების ეფექტიანად განაწილების განხორციელების შეუძლებლობის გამომხატველი სხვა რისკების რეალიზაცია.

ფინანსური გლობალიზაციის კრიზისი საფინანსო-საკრედიტო სექტორის რეგულირების მოდელის შეცვლის აუცილებლობას განაპირობებს, რასთან დაკავშირებით საქართველოს ბანკების განვითარების ახალი სტრატეგია სისტემური რისკების შემცირებაზე, დამატებითი რესურსების მოზიდვაზე, აქტივების კაპიტალიზაციისა და კონსოლიდაციის დაჩქარებაზე, ასევე მსხვილი და რეგიონალური ბანკების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფაზე მიმართული კომპლექსური ინსტრუმენტების გამოყენებაზე უნდა იქნეს დაფუძნებული.

დაცვაზე გამოსატანი ძირითადი დებულებები:

1. საქართველოს კომერციული ბანკების განვითარების სტრატეგია, რომელიც გლობალური ბაზრებიდან ფინანსური რესურსების მოზიდვაზე და დაკრედიტების აგრესიულ ტექნოლოგიებზეა დამოკიდებული, ცვლილებებს განიცდის იმის გამო, რომ ფინანსური გლობალიზაციის კრიზისის პირობებში საბანკო სისტემა საკუთარ მდგრადობას კარგავს და ეკონომიკის ყველაზე უფრო სუსტი რგოლი ხდება. ფინანსური აქტივების ღირებულებების მკვეთრი შემცირების გამო, გლობალური ფინანსური კრიზისი ხასიათდება სიტუაციით, რომლის დროსაც ფულის მიწოდება შეზღუდულია, ხოლო მათზე მოთხოვნა მნისვნელოვნად აჭარბებს მიწოდებას, რაც ლიკვიდობის შემცირებას, გაურკვევლობისა და რისკის ზრდას იწვევს. აღნიშნული საქართველოს ბანკების მიერ რესურსების ახალი წყაროების, მათი მოზიდვისა და რისკების შეფასების ინფორმაციულ-საფინანსო ტექნოლოგიების ხერხების მოძიების აუცილებლობას განაპირობებს, რომლის დროსაც ბანკები იძულებულნი არიან, ლიკვიდობაში მოთხოვნილებების გადაფარვისათვის გაყიდონ აქტივები, რომ მდგრადობა არ შეუმცირდეთ ან არ გაკოტრდნენ.

2. ეროვნული ფულადი ერთეულის - ლარის - განმტკიცება, ანაბრების მიხედვით საპროცენტო განაკვეთების მიმზიდველობის ზრდა, ვალების რესტრუქტურირაცია ხელს უწყობდა ფულადი მასის ზრდას, ანაბრების მოდინებას, მათი განმტკიცებისადმი ტენდენციების ფორმირებას, ამიტომ კრიზისამდელ ეკონომიკაში მოსახლეობის დეპოზიტების ნაზარდი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც კლიენტების მხრიდან გარკვეულ პოზიტიურ ცვლილებებზე და საბანკო მომსახურების ხარისხის ზრდაზე რეაქცია. ფინანსური კრიზისის პირობებში მოზიდული სახსრები ბანკების მიერ საკუთარი ლიკვიდობის უზრუნველყოფაზე მიიმართება, ხოლო საკრედიტო შემცირება დაკავშირებულია იმასთან, რომ კრიზისის პირობებში ბანკები ფულზე ხარისხობრივი მოთხოვნის არარსებობის გამო ზღუდავენ მსესხებელზე სესხების მიწოდებას.

3. ფინანსური ბიზნესის შერწყმის საფუძველზე კონსოლიდაცია კომერციული ბანკების მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას უწყობს ხელს იმის გამოც, რომ გაერთიანების შედეგად იქმნება ბანკი, რომელიც აქციონერებისა და კლიენტებისათვის უფრო მიმზიდველია. რესურსების გაერთიანებით, ბანკები ფინანსური ინვესორების მოზიდვისათვის კაპიტალის ბაზრებისადმი მიღწევადობის გაფართოებას უზრუნველყოფენ. შერწყმის შემდეგ მოგების ჯამი იზრდება, რომელსაც ინტეგრირებული ფინანსური სტრუქტურები, კაპიტალის ერთეულზე გენერირებას ახდენენ, რაც მოქნილი საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების, საკლიენტო ქსელის გაფართოებისა და ფინანსური მდგრადობის მართვის შესაძლებლობას იძლევა.

4. გამსხვილებული ბანკების ფინანსური პროდუქტების (მომსახურების) ხარისხისა და ასორტიმენტის მართვის ახალი ტექნოლოგიები საინფორმაციო-საფინანსო კაპიტალის საფუძველზე არამატერიალური აქტივების ღირებულებებს კომერციული ბანკების კონკურენტულ უპირატესობებში ტრანსფორმაციას უზრუნველყოფენ, რაც საფინანსო - საკრედიტო ინსტიტუტების ფინანსური მდგრადობისა და ეკონომიკური უსაფრთხოების მართვას აუმჯობესებს. აღნიშნული ტენდენციები რისკ-მენეჯმენტის საფუძველზე ინტეგრირებულია ფინანსური ჯგუფების განვითარების სტრატეგიაში. ინფორმაციის როლისა და მნიშვნელობის გაგების შესახებ მოწმობენ.

5. „პრობლემური“ აქტივების ვადაგადაცილებული კრედიტების სახით და გაუფასურებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური სექტორის დაკრედიტების მოცულობების მკვეთრი შემცირებისაკენ მივყავართ. კაპიტალიზაციის ამალღების შემდეგ, შემოსავლების ტრადიციული წყაროების არარსებობის პირობებში, ბანკები ლიკვიდობისა და ფინანსური მდგრადობის ზრდაზე მიმართული ახალი სტრატეგიის ფორმირების აუცილებლობას იწვევს, როგორებიცაა: აქციონერებზე მომართვა, სტრატეგიული პარტნიორის მოძიება ან სახელმწიფოს მონაწილეობით რეკაპიტალიზაციის მექანიზმის გამოყენება, რაც მოიცავს აქციების ჩვეულებრივ შეძენას, გრძელვადიანი კრედიტების გაცემას, „პრობლემური“ აქტივების სპეციალურად გამოშვებულ ობლიგაციებზე გაცვლა და ა.შ.

კვლევის შედეგების მეცნიერული სიახლე. - ფინანსური ურთიერთობების გლობალიზაციისა და მსოფლიო კრიზისის პირობებში საქართველოს კომერციული ბანკების განვითარების ახალი სტრატეგიის შემუშავებაში მდგომარეობს, რაც ფინანსური მდგრადობისა და რისკების მართვის განმსაზღვრელ ინსტრუმენტებში შემავალი საბანკო აქტივების კონსოლიდაციის მექანიზმის უზრუნველყოფის შესძლებლობას იძლევა. მეცნიერული სიახლის ცალკეული ელემენტები სადისერტაციო კვლევების შემდეგ დებულებებშია ჩამოყალიბებული:

1. გამოვლენილია ეროვნული საფინანსო-საკრედიტო სისტემის მდგრადობის შემამცირებელი დისპროპორციები და განსაზღვრულია ბანკებისათვის რესურსების ახალი წყაროების, მათი მოზიდვის ხერხების მოძიების აუცილებლობა, რაც აქტივების კონსოლიდაციაზე, რესურსების ახალი წყაროების მოზიდვის ხერხების დივერსიფიკაციაზე და საკრედიტო რისკების შეფასების საინფორმაციო-საფინანსო ტექნოლოგიების გამოყენებაზე იქნება დაფუძნებული.

2. გამოყოფილია ბანკის კლიენტების ეკონომიკური ქცევის მოგების ცვლილებაზე ზემოქმედი ფაქტორები, რაც საქართველოს საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების განვითარების სტრატეგიის თავისებურებების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა და რომლებიც საბანკო მომსახურების რისკების შემცირებაზე და ხარისხის ამალღებაზე მიმართული ბიზნესის განვითარების კლიენტორიენტირებულია კონცეფციის დანერგვის საფუძველზე, საკრედიტო შეზღუდვებთან და დეპოზიტური პოლიტიკის აქტივიზაციასთან არის დაკავშირებული.

3. დასაბუთებულია საქართველოს ბანკების საკრედიტო და დეპოზიტური სტრატეგიის უპირატესობები და შეზღუდვები, უპირველეს ყოვლისა, ვალდებულებების მიხედვით საპროცენტო რისკის შეფასების საფუძველზე. ამასთან, მოსახლეობის ანაზღაურების მიხედვით საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრით, ბანკებს შეუძლიათ განახორციელონ როგორც ეფექტური ბიზნეს-პრაქტიკა, ასევე ოპორტუნისტული ქცევის მოდელის რეალიზაცია. ამიტომ, მაღალი განაკვეთები კერძო ანაზღაურებთან მიმართებაში სავალდებულო მონიტორინგს უნდა დაექვემდებაროს, რაც სარეპუტაციო რისკების მართვის, ეროვნული საბანკო სისტემის მხარდაჭერის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავების საფუძველზე ნდობის კრიზისის დაძლევის აუცილებლობას განაპირობებს და რომლებიც არამართო კაპიტალიზაციის დონეს, არაედ ფილიალური ქსელის დისლოკაციასაც, ასევე რეგიონში ბანკის სოციალურ-ეკონომიკურ როლს ითვალისწინებენ.

4. განხილულია საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებისა და ფინანსური მდგრადობის მართვის ინსტრუმენტების განვითარების შესაძლო სცენარები, რომლებიც ბანკის მენეჯმენტის ქცევის შემდეგი ალგორითმების განმსაზღვრელია: მიმართვა აქციონერებზე, სტრატეგიული პარტნიორის მოძიება, სახელმწიფოს მონაწილეობით რეკაპიტალიზაციის მექანიზმის გამოყენება, რომელიც მოიცავს აქციების ჩვეულებრივ შეძენას, გრძელვადიანი კრედიტების გაცემას და „პრობლემური“ აქტივების ობლიგაციების სპეციალურ გამოშვებებზე გაცვლას .

5. დადგენილია საქართველოს საბანკო სფეროში ლიკვიდობის კრიზისის მიზეზები, რომლებიც სარესურსო ბაზის დაბალ ხარისხთან, მოკლევადიანი წყაროების გრძელვადიან დაბანდებებში ტრანსფორმაციის პრობლემებთან, პასივებისა და აქტივების მართვის სისტემაში შეზღუდვებთან არის დაკავშირებული. აღნიშნულ მდგრადი სარესურსო ბაზის ფორმირებასთან, დაკავშირებულია ახალი სტრატეგიის დამუშავების აუცილებლობა, აქტუალიზაციის განვითარების საწინდარია, რომლის საფუძველი უნდა გახდეს საკუთარი კაპიტალი და ვადიანი დეპოზიტები, ამასთან, მოთხოვნამდე დეპოზიტების წილი საკრედიტო ორგანიზაციის სადეპოზიტო ბაზის შემადგენლობაში მინიმიზირებული უნდა იქნეს.

6. განსაზღვრულია ბანკების ფინანსური მდგრადობის შემამცირებელი ფაქტორები (დაკრედიტების მაღალი რისკები მსესხებლების საიმედოობის

შემცირების შედეგად; კაპიტალის საკმარისობისადმი მოთხოვნების შეზღუდულ ნორმაზე მიმართული პორტფელის შემცირების სტრატეგია), რაც ბანკების კაპიტალიზაციის ამაღლების ინსტრუმენტების მოძიების, ასევე, „პრობლემური“ აქტივების შემცირების იმპერატივისაგან საფინანსო-საკრედიტო ინსტრუმენტების მდგრადობის მართვის ფორმებისა და მეთოდების დეტერმინიზებული დასაბუთების შესაძლებლობას იძლევა.

7. გამოყოფილია მსხვილი ბანკების განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში რისკების შეფასების ტექნოლოგიების მზარდი როლის მიზეზები, რაზეც საინფორმაციო-საფინანსო ინსტრუმენტებზე დაფუძნებული რისკ-მენეჯმენტის ახალი სისტემის რეალიზაციის მეშვეობით, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების კონკურენტულ უპირატესობებში არამატერიალური აქტივების ღირებულებების ტრანსფორმაციის უზრუნველყოფაში, ინტეგრირებული ფინანსური სტრუქტურების განვითარების მართვაში ინფორმაციებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ხარისხობრივად ახალი როლის უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლევა.

8. ჩამოყალიბებულია საბანკო რისკების მართვის ინფორმაციული სისტემის პრიორიტეტული ამოცანები იმის საფუძველზე, რომ ერთი სახეობის რისკის ცვლილება იწვევს სხვა რისკების სახეობების ცვლილებას და კონკრეტული რისკის დონის ანალიზის მეთოდის შერჩევას ართულებს. სამსახურებს შორის ინფორმაციული ინტეგრაციის საფუძველზე, საბანკო რისკების ინფორმაციული მასისათვის ახალი მეთოდებია შემოთავაზებული. ტრანზაქციული დანახარჯების შემცირებამ და აქციონერებთან საინფორმაციო-ფინანსური ურთიერთქმედების ახალი მოდელის ფორმირების მეშვეობით ლიკვიდობის რისკისადმი ბიზნესის ადაპტაციამ, ბანკის კონკურენტმდგრადობის უზრუნველყოფელი ურთიერთმოქმედი ბიზნეს-ოპერაციების კომპლექსის გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა. განისაზღვრება დასმული ამოცანების აქტუალურობით, პრობლემატიკის დამუშავებადობის მიღწეული დონით, ფინანსური ინსტიტუტების შერწყმის საფუძველზე საბანკო აქციების კონსოლიდაციის სტრატეგიის, ეროვნული და უცხოური გამოცდილების ფორმირების გააზრებით, უახლოეს პერსპექტივაში ეროვნული საფინანსო-საკრედიტო სექტორის განვითარების სტრატეგიული ამოცანების გამოვლენით,

ეროვნული ბანკების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის პირობების, ფორმებისა და ინსტრუმენტების უზრუნველყოფით. მიღებული შედეგები საბანკო საქმის თეორიის გაღრმავების უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლევა.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. გააჩნიათ ბანკების რისკ-მენეჯმენტის სისტემის სრულყოფასთან მიმართებაში კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია მათი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფაზე, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების განვითარების ყველაზე უფრო მოქნილი ხერხებისა და ტექნოლოგიების სტრატეგიის რეალიზაციაზე. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები და დასკვნები შეიძლება სასწავლო პროცესის პროგრამაში იქნას ჩართული.

კვლევის შედეგების აპრობაცია. კვლევის. შედეგად მიღებული მეთოდოლოგიური და თეორიული დებულებები და პრაქტიკული რეკომენდაციები მოხსენებებისა და გამოსვლების ფორმით აპრობირებული იქნა ავტორის სამეცნიერო სტატიებში და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში.

კვლევის შედეგების პუბლიკაციები. სადისერტაციო კვლევის ძირითადმა დებულებებმა ასახვა ჰპოვა ერთ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე და სამ საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალში.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურის არქიტექტონიკა. კვლევის შინაარსი დასახული თემატიკის შესაბამისად არის ჩამოყალიბებული და იგი შედგება: სამი თავის, რვა ქვეთავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან, რომელიც 120 დასახელებას მოიცავს. სადისერტაციო ნაშრომის საერთო მოცულობა კომპიუტერული წესით ნაბეჭდი 160 გვერდისაგან შედგება.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალურობა; შესწავლილია მისი მეცნიერული დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა; გადმოცემულია კვლევის მიზანი, ამოცანა, ობიექტი, საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა; ჩამოყალიბებულია ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე; ნაჩვენებია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

აღნიშნულია, რომ თანამედროვე საბანკო სისტემა მეტად რთული მექანიზმია, უაღრესად ფაქიზი და მყიფე - ცუდი მენეჯმენტის პირობებში და იმავდროულად მეტად მძლავრი - წარმატებული მართვის შემთხვევაში. აღნიშნული გარემოება განპირობებულია ფართო სპექტრით იმ რისკებისა, რომლებიც საბანკო საქმიანობასა და ბანკებს ყველა ფეხის ნაბიჯზე ხვდებათ.

ბანკები თანამედროვე ეკონომიკისა და საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ისინი იმყოფებიან ეკონომიკის „შუაგულში“ და როგორც სისხლძარღვოვანი სისტემა, უზრუნველყოფენ კავშირს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის. ბანკები არიან არა რომელიმე ეკონომიკური რეგიონის ან ქვეყნის მახასიათებელი, მათ საქმიანობის სფეროს არ გააჩნია გეოგრაფიული ან ეროვნული საზღვრები, ბანკები - ესაა უმნიშვნელოვანესი რესურსებისა და ფინანსური ძალის მქონე ყოვლისმომცველი მოვლენა. ძირითადად, სწორედ ბანკების მეშვეობით ხორციელდება რესურსების გადანაწილება დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მქონე სუბიექტებიდან იმ სუბიექტებისაკენ, რომლებიც მათ საჭიროებენ მოცემულ მომენტში. სამწუხაროდ, დღესაც კი ჩვენს ქვეყანაში ყველა ეკონომიკური სუბიექტის მიერ ბოლომდე არაა გაცნობიერებული ის როლი, რომელსაც უნდა ასრულებდეს საბანკო სისტემა ეკონომიკურ სისტემაში.

საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს და აუცილებელ სფეროს წარმოადგენს, რომელიც განვითარების


თავისებურებებით ხასიათდება და მთლიანად ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობას განსაზღვრავს. ამავე დროს, საბანკო სისტემა, გარკვეული აზრით, ცალკე ავტონომიური „სამყარო“, რომელსაც განვითარების საკუთარი სპეციფიკური კანონზომიერებები ახასიათებს. სამედიცინო ანალოგიის შესაბამისად თუ ვიმსჯელებთ, „ფული“ ეკონომიკის სისხლია, ხოლო მთლიანად „საბანკო სისტემა“ კი - მისი სისხლგამტარი არტერიები, და აქედან გამომდინარე შეიძლება ვაღიაროთ, რომ „ბანკები“ - უეჭველად, „გულია“, რომელიც ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობაზე, საქმიანობაზე და განვითარებაზე ზემოქმედებს და სისხლგამტარი სისტემების (საბანკო სისტემის) მეშვეობით, სისხლის (ფულის) “რეალურ მიმოქცევას” განაპირობებს.

როგორც პროფესორი გ. ცაავა აღნიშნავს, თანამედროვე საბანკო სისტემაში ე.წ. „ფულადი ტუმბოს“ მსგავსი მომსახურება მიმდინარეობს, სადაც თავისუფალი სახსრების მნიშვნელოვანი მოცულობის (საბანკო რესურსების 80–90 %-მდე) მოზიდვა და მათი ეკონომიკაში, დაკრედიტების მეშვეობით, მსესხებლისაკენ მიმართვა ხორციელდება. ამასთან, ისიც არის უმნიშვნელოვანესი, რომ საბანკო სისტემაში მულტიპლიცირების საფუძველზე, თავისთავად, არსებული საკრედიტო რესურსების საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის, მრავალჯერადად გაზრდილი ახალი უნაღდი ფულადი მასის შექმნა და „საბანკო ფულის ერას“ ჩამოყალიბება მიმდინარეობს.

ლიტერატურის მიმოხილვაში დასმული და პასუხ-გაცემულია კითხვები იმის თაობაზე, თუ საიდან მომდინარეობს სადისერტაციო ნაშრომში ჩამოყალიბებული პრობლემა, რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემების შესახებ, რამ განაპირობა აღებული პრობლემის მეცნიერული დამუშავების აუცილებლობა, რა ალტერნატიული პრაქტიკული მეთოდებია შემუშავებული დასმული პრობლემების გადასაჭრელად და რომელი მათგანია გამოყენებული წარმოდგენილ ნაშრომში.

ლარიზაციის წახალისების პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეროვნული ბანკის მიერ ბოლო წლებში განხორციელებულმა რეფორმებმა, რომლებიც მიმართული იყო სავალუტო და ფინანსური ბაზრების განვითარების ხელშეწყობისაკენ.

დიაგრამა N 2.2 დეპოზიტებისა და სესხების ლარიზაცია, 2004-2014 წწ.¹²




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2014 წელს მონეტარული ოპერაციების გირაოს ბაზაში შედიოდა საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები, კომერციული ბანკების სასესხო აქტივები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული ფასიანი ქაღალდები და საერთაშორისო საბანკო გარანტიები. სესხის უზრუნველყოფის თითოეული ასეთი სახეობის აქტივებზე ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული იყო შესაბამისი კრიტერიუმები. საქართველოს ეროვნულ ბანკთან მონეტარული ოპერაციების წარმოებისათვის, გირაოს ამ სახეობებიდან კომერციული ბანკები 2014 წლის განმავლობაში ძირითადად იყენებდნენ საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებს და საქართველოს მთავრობის ფასიან ქაღალდებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობდა საკუთარი ფასიანი ქაღალდების – სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისიას. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებთან და


დიაგრამა N 2.7 რეფინანსების სესხების მოცულობა 2011-2014 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ობლიგაციებთან ერთად კომერციული ბანკებიდან მაღალი მოთხოვნით სარგებლობდა. სადეპოზიტო სერტიფიკატები მიმოიქცეოდა 3-თვიანი და 6-თვიანი ვადიანობის სეგმენტზე, ხოლო მთავრობის ფასიანი ქაღალდები - 1-წლიანი, 2-წლიანი, 5-წლიანი და 10-წლიანი ვადიანობის სეგმენტზე. აღნიშნულმა ფასიანმა ქაღალდებმა ხელი შეუწყო შემოსავლიან-

დიაგრამა N 2.8 მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მერყეობა¹⁵



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ობის სტაბილური მრუდის ჩამოყალიბებას.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში შესწავლილია ბანკის ფინანსური მდგრადობის, მართვისა და მსესხებელის კრედიტუნარიანობის შეფასების სტრატეგია, თანამედროვე მეთოდები და ინსტრუმენტები, ოქროს საბანკო წესი. აღნიშნულია, რომ ფინანსურ-საკრედიტო

მომსახურების ეროვნული ბაზარი კრიზისის პირობებში ხასიათდება არასტაბილურობის მაღალი ხარისხით, ინსტრუმენტების მცირე სპექტრით, კომპლექსური ფინანსური მომსახურების არარსებობით.

საბანკო სისტემისთვის მთავარი პრობლემაა – ვადაგადაცილებული დავალიანების ზრდა. ლარის დევალვაციის შემდეგ ბევრი მსესხებელი გადახდისუუნარო აღმოჩნდა, პანიკა მეანაბრებს შორის გამოიწვია ბანკებიდან სახსრების გადინებამ, მაღალმა ინფლაციამ და გაზრდილმა რისკებმა გამოიწვიეს კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა, რომლებიც მიუწვდომელი გახდა საწარმოებისთვის.

თანამედროვე მკვლევარები საბანკო საქმის საკითხებთან მიმართებაში ტერმინებს „სტაბილურობა“, „მდგრადობა“, „საიმედობა“-ს იყენებენ ეკონომიკის საბანკო სექტორის ჩამოყალიბების პრინციპების დამუშავების ამოცანების გადაწყვეტისას შემდეგი სახის შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით:

- საბანკო სექტორის მიერ მოცემული ფორმაციისათვის დამახასიათებელი ფუნქციების განხორციელებისადმი მიმართებაში;
- ნეგატიური შიდა და საგარეო ზემოქმედებებისადმი წინააღმდეგობის გაწევასთან მიმართებაში;

ამრიგად, ცნება „სტაბილურობა“ გამოყენებული უნდა იქნას ისეთი მოვლენების ანალიზისას, რომლებიც საბანკო სისტემის მიერ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სტრუქტურული და ფუნქციონალური მთლიანობის შენარჩუნების შესაძლებლობასთან იქნება დაკავშირებული. ამასთან ანალიზის საფუძველში სისტემის წონასწორობისა და მისი ელემენტების ფუნქციონალურობის (საიმედობის) მდგომარეობაზე ზემომქმედი ფაქტორების შესწავლა ჩაიდება. ასეთი მსჯელობისას საიმედობის ეკონომიკური თეორიისა და კიბერნეტიკული თეორიის გამოყენება კანონზომიერი ხდება.

ტერმინი „მდგრადობა“ მეტი ხარისხით საბანკო სისტემის კრიზისულ მოვლენებზე რეაქციის შესწავლისას არის გამოყენებადი. ამ შემთხვევაში

მეთოდოლოგიური საფუძვლის სახით შეიძლება მდგრადობის მათემატიკური თეორიისა და რისკების თეორიის მეთოდები იქნას განხილული.

ცნება „საიმედობა“ დამოუკიდებელ განხილვაში (უფრო ფუნდამენტალური ცნებების ჩარჩოების გარეთ, ისეთების რიგორიცაა სტაბილურობა და მდგრადობა) შეიძლება შესაბამისი მეთოდოლოგიური აპარატის განოყენების მეშვეობით საბანკო სისტემის ცალკეული ელემენტების შედარებითი მახასიათებლების ანალიზისას იქნას გამოყენებული.

უცხოეთის პრაქტიკა კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების ისეთ მეთოდებს განიხილავს, როგორებიცაა „5 C“ და „CAMPARI“ - აღნიშნული სახელწოდებები წარმოქმნილია შემდეგი სიტყვების საწყისი ასოებიდან:

C – Character -რეპუტაცია, დახასიათება (კლიენტის პირადული თვისებები);

A – Ability - შესაძლებლობა სესხის დაბრუნებასთან მიმართებაში;

M – Marge - მარჟა, შემოსავლიანობა;

P – Purpose - მიზნობრივი დანიშნულება სესხის;

A – Amount - სიდიდე სესხის;

R – Repayment - პირობები კრედიტის დაფარვის;

I – Insurance - უზრუნველყოფა, რისკის დაზღვევა კრედიტის დაუფარაობასთან მიმართებაში.

საწარმო-მსესხებელის რეიტინგული შეფასება კრედიტუნარიანობის ანალიზის დასკვნით ეტაპს წარმოადგენს. რეიტინგი განისაზღვრება ბალებში (ქულებში). ქულების ჯამი გაიანგარიშება თითოეული კოეფიციენტის კლასიანობის (კალ., კვლ., კმლ., კავ.) გადამრავლებით მის წილზე (შესაბამისად 30, 20, 30 და 20%, ერთობლიობაში 100%). პირველ კლასს მიეკუთვნებიან მსესხებლები 100-დან - 150-მდე ქულების ჯამით, მეორეს - 151-დან - 250-მდე, მესამეს - 251-დან - 300-მდე.

კომერციულ ბანკებს კრედიტუნარიანობის მიხედვით პირველი კლასის მსესხებლებზე შეუძლიათ საკრედიტო ხაზი გახსნან, ერთჯერადი წესით სესხები უზრუნველყოფის გარეშეც და უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთის დადგენითაც გასცენ, ვიდრე დანარჩენი მსესხებლებისათვის.

მეორე კლასის მსესხებლის დაკრედიტება ბანკების მიერ ჩვეულებრივი წესით, ანუ შესაბამისი უზრუნველყოფადი ვალდებულებების (გარანტიების, გირაოს და ა. შ.) არსებობისას ხორციელდება. საპროცენტო განაკვეთი სიდიდე უზრუნველყოფის სახეობაზეა დამოკიდებული.

მესამე კლასის კლიენტებზე კრედიტების მიწოდება ბანკებისათვის სერიოზულ რისკთან არის დაკავშირებული. ასეთ კლიენტებზე, უმეტეს შემთხვევაში, კრედიტები არ გაიცემა, მაგრამ თუ მაინც გაიცა, მაშინ მიწოდებადი სესხის სიდიდე საწედებო ფონდის სიდიდეს არ უნდა აჭარბებდეს და კრედიტზე საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალ დონეზე დადგინდება.

ალტმანის მიხედვით „Z - შეფასების“ განტოლება შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული:

$$Z1 = (1,2 \times X1) + (1,4 \times X2) + (3,3 \times X3) + (0,6 \times X4) + (1,0 \times X5) ,$$

სადაც: X1 = საბრუნავი კაპიტალი/ერთობლივი აქტივები =

$$= (A1 + A2 + A3) / (A1 + A2 + A3 + A4);$$

X2 = გაუნაწილებელი მოგება საანგარიშგებო პერიოდის / ერთობლივი აქტივები =

$$= \text{სტროფი 480 ფორმა N1-ის} / (A1 + A2 + A3 + A4);$$

X3 = ბრუტო - შემოსავლები / ერთობლივი აქტივები =

$$= \Pi7 / (A1 + A2 + A3 + A4).$$

X4 = კაპიტალის საბაზრო შეფასება / ჯამური დავალიანების საბალანსო შეფასება =

$$= (A1 + A2 + A3 + A4 + A5) / (\Pi1 + \Pi2 + \Pi3);$$

X5 = გაყიდვების მოცულობა / ერთობლივი აქტივები =

$$= \Pi5 / (A1 + A2 + A3 + A4);$$

- თუ Z-ის მნიშვნელობა 1,8-ზე ნაკლებია, მაშინ ასეთი საწარმოს გაკოტრების ალბათობა ძალიან მაღალია;
- თუ Z-ის მნიშვნელობა 2,675-ზე ნაკლებია, მაშინ ასეთი საწარმო შეიძლება გაკოტრებულთა ჯგუფზე იქნას მიკუთვნებული;

თუ Z-ის მნიშვნელობა 2,99-ზე მეტია, მაშინ ასეთი საწარმო წარმატებულად მომუშავე ჯგუფზე უნდა იქნას მიკუთვნებული.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში გაანალიზებულია საქართველოს საფინანსო სექტორი და ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საბანკო რისკების მართვის მაჩვენებელთა სისტემა და ინსტრუმენტები, ბანკის კონკურენტული უპირატესობის ჩამოყალიბების თავისებურებები და საბანკო სფეროს განვითარების მაკროეკონომიკური სტრატეგიისადმი ადაფტაციის მექანიზმები.

ეროვნული საბანკო სისტემა ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, ამიტომ პრობლემების დროული გამოვლენა და აღმოფხვრა, რომლებიც ეწინააღმდეგება მის სტაბილურ ფუნქციონირებასა და განვითარებას, აქტუალური ამოცანაა, რომელიც მოითხოვს სისტემურ გადაწყვეტილებებს, როგორც სახელმწიფო დონეზე, ისე ყველა მობატონე სუბიექტის დონეზე.

საბანკო მარკეტინგი შეიძლება განიხილებოდეს როგორც ბაზრის სუბიექტი ბანკის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული თვითიდენტიფიკაციის სხვადასხვა ფორმა, რომლებიც თავს ავლენენ იდეებში, განწყობაში, მოქმედებაში, ტაქტიკაში, რომლებიც მიმართულია ბანკის ბაზარზე სტატუსის ამაღლებისთვის.

სტრატეგიული გეგმის სტრუქტურა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ოპერაციულ მარკეტინგთან. სტრატეგიული მარკეტინგის შემუშავებიდან და პროგნოზიდან გამომდინარე, ოპერაციული მარკეტინგი ადგენს ბაზრის წილის დაპყრობის კონკრეტულ მიზნებს, აგრეთვე მათი მიღწევისთვის აუცილებელ მარკეტინგულ ბიუჯეტს. ბანკისა და მისი ქსელური სტრუქტურის ირგვლივ შექმნილი ინტეგრირებული ფინანსური

ჯგუფის პოტენციური განისაზღვრება სტრატეგიული და ოპერაციული მარკეტინგის საინფორმაციო შემადგენელით.

საქმიანობის სტრატეგია უნდა უზენებდეს, რა და როგორ ინდა გაკეთდეს ფილიალის დონეზე ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი მიზნების მისაღწევად. განვიხილოთ უმთავრესი სტრატეგიები, რომლებიც მუშავდება ბანკის მენეჯმენტის მიერ მარკეტინგის ძირითადი ელემენტების მიმართ: ტერიტორია (მუშაობის ადგილი), პროდუქტები, კლიენტები, კონკურენტები და ფილიალი (“რას წარმოვადგენთ”).

ბანკში პროცესების მართვის ეფექტური სისტემის ასაგებად მაჩვენებლების დაბალანსებული სისტემის (მდს) საფუძველზე საჭიროა:

- 1) ფინანსური ინსტიტუტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება;
- 2) გარდაქმნების (განვითარების სამსახური, ხარისხის სამსახური და Iთ – საწარმოს სამსახური) ძირითად მონაწილეთა სამუშაოთა კოორდინაცია;
- 3) მთელი პერსონალის სწავლება, ხელმძღვანელობის ჩათვლით;
- 4) ყველა ქვეგანყოფილების ჯგუფური მუშაობა;
- 5) მართვის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის გეგმის შედგენა და დაცვა ბიზნეს-პროცესებით;
- 6) პროცესების საქმიანობის სვლისა და შედეგის ადეკვატურად ამსახველი მაჩვენებლების სისტემის შექმნა;
- 7) უკუკავშირების მკაფიოდ მოქმედი მექანიზმის შექმნა, მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებასა და ეფექტურობის კონტროლის ჩათვლით ფინანსური ინსტიტუტის მართვის ყველა დონეზე.

საბანკო საქმიანობის მახასიათებელ მაჩვენებლებს შორის ყველაზე ფართე გავრცელება და აღიარება ამერიკული სისტემა CAMEL-ის მაჩვენებლებს გააჩნიათ, რომლებიც მთლიანობაში ბანკის სტაბილური ფინანსური მდგომარეობის ძირითად კომპონენტებს მოიცავს. მოცემული სისტემა საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო დონეებზე ნიმუშის სახით არის აღიერებული. საბანკო ზედამხედველობის სახელმწიფოთაშორისო კოორდინაციის ცენტრები მრავალი ქვეყნის

საზედამხედველო პრაქტიკაში CAMEL-ის სარეიტინგო სისტემასთან მიახლოებული სისტემების დანერგვას ახორციელებენ.

CAMEL-ის რეიტინგული სისტემის კომპონენტებს წარმოადგენენ:

C (Capital adequacy) - კაპიტალის ადეკვატურობა; კაპიტალის სიდიდის მისი საკმარისობის თვალსაზრისით შეფასება მეანაბრების ინტერესების დაცვის მიზნით.

A (Asset quality) - აქტივების ხარისხი; აქტივების, ასევე გარესაბალანსო მუხლების დაბრუნების უზრუნველყოფის შესაძლებლობა, ბანკის საერთო ფინანსურ მდგომარეობაზე პრობლემური კრედიტების ზემოქმედება.

M (Management) - მართვა, მენეჯმენტი; ორგანიზაციის ეფექტიანობის მიღებული წესი, კონტროლის მეთოდი, ნორმატიული საბუთებისა და შიდა მეთოდის შესრულება.

E (Earnings) - შემოსავლები ან რენტაბელობა; შემოსავლების საკმარისობა საბანკო საქმიანობის გაფართოების პერსპექტივისათვის.

L (liquidity) - ლიკვიდობა; ლიკვიდობის საკმარისობა როგორც ჩვეულებრივი, ასევე გაუთვალისწინებელი ვალდებულებების შესრულებისათვის.

მოცემულ თავში შესწავლილია საერთაშორისო საბანკო საქმიანობის რეიტინგული რეგულირების სისტემები: ამერიკული სისტემები CAMEL და GMS, იტალიური სისტემა PATROL, ფრანგული სისტემა ORAP და აღნიშნულია, რომ სოციალურ - ეკონომიკური სარგებლიანობის თვალსაზრისით ყველაზე უფრო მაღალ პიტენციალურ ფასეულობას ფლობს შედეგების პროგნოზი და არა გარემოებების კონსტატაცია. დასაბუთებულია, რომ რეგულატორის თვალსაზრისიდან გამომდინარე, ბანკების ეფექტიანი ფუნქციონირება ძირითადად - შემოსავლების, რისკისა და ლიკვიდობის ოპტიმალური შეხამებით არის შესაძლებელი, რაც შემოსავლების მაქსიმიზაციით - რისკების მინიმიზაციით - სტაბილური ლიკვიდობით შეიძლება იქნეს მიღწეული.

დასკვნა

ჩატარებულმა სადისერტაციო კვლევამ შემდეგი შედეგების მიღების საშუალება მოგვცა:

1 - განხილულია, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში მმართველობითი აღრიცხვა, ძირითადად დაკავშირებულია წარმოებით დაწესებულებებთან. კომერციულ ბანკებში მმართველობითი აღრიცხვა არასაკმარისად არის შესწავლილი. მმართველობითი აღრიცხვის სპეციფიკა განსაკუთრებით კარგად ჩანს კომერციულ ბანკებში საბანკო მომსახურებების და დანახარჯების დაჯგუფებისას. მმართველობითი აღრიცხვა მჭიდროდაა დაკავშირებული მენეჯმენტთან და უნდა ხორციელდებოდეს ოთხი პასუხისმგებელი ცენტრის მიხედვით – შემოსავლების, ხარჯების, მოგების და ინვესტიციების.

2 - საბანკო სისტემის კრიზისმა ბანკების შიდა პრობლემები გამოააშკარავა, რომლებიც დაკავშირებულია საბანკო კაპიტალის დაბალ დონესთან, დაუბრუნებადი კრედიტების მნიშვნელოვან სიდიდესთან, რისკიანი საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებასთან, შიდა კონტროლისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის შეუფასებლობასთან. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საბუღალტრო სისტემის შემდგომ განვითარებასთან ერთად, მიმდინარეობდა მისი გამიჯვნა ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვისთვის, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. ვინაიდან ორივე აღრიცხვის სახეობა წარმოადგენენ ნებისმიერი სფეროს და საკუთრების სახეობის საწარმოების და ორგანიზაციების ერთიან ინფორმაციულ სისტემას, მისდევნენ ერთიან მიზანს – ყველა მომხმარებლის უზრუნველყოფა საიმედო ინფორმაციით მართვისა და შემდგომი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ამდენად მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვა წარმოადგენს დიალექტიკურ ერთიანობას

3 - აღნიშნულია, რომ ისე როგორც განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ასევე საქართველოს პრაქტიკაშიც მიღებულია

ბუღალრტული აღრიცხვა დაყოფილ იქნას მმართველობით და ფინანსურ ქვედანაყოფებად. აღრიცხვის აღნიშნულ სახეობებს შორის არსებობს მრავალი საერთო, რამდენადაც ისინი აღრიცხვის სისტემის ერთიან ორგანულად დაკავშირებულ სტრუქტურებს წარმოადგენენ. ნაშრომში მოცემულია მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვის ცნების განმარტება და კომერციულ ბანკებთან მიმართებაში მათი გამიჯვნაა განხორციელებული.

4 - გაკეთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ანალიზი მართვის უმნიშვნელოვანესი დამოუკიდებელი ფუნქციაა, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მეთოდოლოგიურ საფუძველს, ფინანსური მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილია, ბანკების საქმიანობის მიმდინარე და პერსპექტიული ფინანსური დაგეგმვისა და მოდელირების ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. აღნიშნულია, რომ საბანკო საქმიანობის ანალიზის კონცეფციის შემდგომი განვითარება უნდა განხორციელდეს ფინანსური ანალიზის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის გამოყენებით, მმართველობითი ანალიზისა და ფინანსური მენეჯმენტის საფუძველზე.

5 - შეთავაზებულია შემოსავლებისა და მოგების ცნების განმარტების დაზუსტება, დასაბუთებულია მათი გამიჯვნის აუცილებლობა საგადასახადო გადახდების ბიუჯეტისათვის კუთვნილი თანხების განსაზღვრის, წმინდა მოგებისა და საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონის ობიექტურობის მიზნით.

6 - განხილულია ბანკის კრედიტუნარიანობა, როგორც მისი მდგრადობის გამოვლენის უმნიშვნელოვანესი ფორმა, რომელთა ძირითადი ფაქტორების მიხედვით კლიენტები ბანკის კრედიტუნარიანობის დონის შესახებ მსჯელობენ. გაკეთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ საკრედიტო ოპერაციების მოცულობისა და რენტაბელობის ზრდის დაბალი ტემპები მოითხოვენ საკრედიტო რისკების მართვის მეთოდოლოგიის მუდმივ სრულყოფას და მისი რეალიზაციისათვის შიდასაბანკო სტრუქტურების შექმნის აუცილებლობას.

7 - შეთავაზებულია საბანკო საქმიანობის კომპლექსური მმართველობითი ანალიზის სისტემაში გადასახადებით დაბეგრის ანალიზის ბლოკის ჩართვის აუცილებლობა, რომელსაც ეკონომიკის რეგულირების სხვადასხვა მეთოდებს შორის წამყვანი ადგილი უკავია.

8 - განხილულია, რომ კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობა კომპლექსურ ცნებას წარმოადგენს, რომელიც ხასიათდება ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების სისტემისაგან და ფინანსური და მმართველობითი ანალიზის მეთოდების შეფასებისადმი და გამოყენებისადმი სისტემურ მიდგომას მოითხოვენ.

9 - შემოთავაზებულია, რომ საიმედოობა განიხილება არა როგორც სინონიმი, არამედ ბანკის მდგრადობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი, რაც საიმედოობისა და მათი შეფასების ფაქტორების უზრუნველყოფის დასაბუთებას საჭიროებს.

10 - აღნიშნულია, რომ ბოლო წლებში საქართველოში, ისე როგორც უცხოეთში, ბანკების ფუნქციონირების საიმედოობის შეფასებისადმი ახალი მიდგომებია ჩამოყალიბებული, როგორებიცაა ფინანსური კომპანიების და ბანკების საიმედოობის შეფასების რეიტინგული სისტემა BANKWATCH, რომელიც სამომავლო პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

11 - დაზუსტებულია, რომ კომპიუტერული ქსელების გამოყენებაზე გადასვლამ ელექტრონული დანაშაულების პრობლემა განაპირობა და აღნიშნულმა ბანკის ფინანსური ტექნოლოგიების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა განაპირობა.

12 - დასაბუთებულია კომერციული ბანკების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისადმი მიმართებაში კომპლექსური მმართველობითი ანალიზის თეორიის დასაბუთება და მაჩვენებლებისა და ფაქტორების სისტემის ანალიზის მეთოდის საფუძვლების პრაქტიკაში გამოყენების აუცილებლობა.

13 - შემოღებულია სატრანსფერტო ფასწარმოქმნისა და ხარჯების ალოკაციის ცნება და დასაბუთებულია მათი გამოყენების

მიზანშეწონილობა მმართველობით აღრიცხვაში. აღნიშნული ელემენტები გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ კომერციული ბანკების ცალკეული ქვედანაყოფების საქმიანობის ეფექტიანობა და/ან პროდუქტის ეფექტიანობა, რაც მთლიანობაში ბანკის სტაბილური განვითარების საწინდარია. კომერციული ბანკების შიდა ქვედანაყოფების და პასუხისმგებელი ცენტრების საქმიანობის ეფექტურობის შეფასება უნდა ხორციელდებოდეს სატრანსფერტო ფასწარმოქმნის საფუძველზე იმ რესურსებზე, რომლებიც მონაწილეობენ ფულადი სახსრების შიდა ბრუნვაში. სატრანსფერტო ფასწარმოქმნის სისტემის გამოყენება მოგვცემს საშუალებას შევაფასოთ სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა, უზრუნველყოფს ფინანსური რისკების მართვის პროცესის მართვას, გავზარდოთ კომერციული ბანკის კონკურენტუნარიანობა.

14 - აღნიშნულია, რომ მმართველობითი აღრიცხვა კომერციულ ბანკებში გადის თავისი განვითარების მხოლოდ პირველ სტადიას, თუმცა გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება მისი დანერგვის კომერციულ ბანკებში დაგროვილია და უკვე მოგვცა დადებითი შედეგები. ამასთან, მმართველობითი აღრიცხვის თავისებურებები ბანკებში ჯერ კიდევ კარგად არაა შესწავლილი. რადგანაც მმართველობითი აღრიცხვა წარმოადგენს მართვის საინფორმაციო მხარდაჭერას, იგი უნდა აწვდიდეს ხელმძღვანელობას ინფორმაციას, რომელიც გამოყენებადი იქნება დაგეგმვის, კონტროლის, ფულადი სახსრების ნაკადების პროგნოზირების სფეროში. მმართველობითი ინფორმაციის მნიშვნელოვან კომპონენტი უნდა გახდეს დანახარჯების კალკულაცია, მათი კლასიფიკაცია და დაყოფა საბანკო ოპერაციების სახეობების მიხედვით.

15 - ეკონომიკურ სისტემაში საკმაოდ დიდი როლი აქვს ფინანსურ აღრიცხვას, რადგანაც მხოლოდ მმართველობითზე კი არა, ფინანსურ აღრიცხვაზეა დამოკიდებული მისაღები გადაწყვეტილებების ხარისხის დონე. ეს ფაქტორი მას აახლოებს მმართველობით აღრიცხვასთან. ფინანსური აღრიცხვა უშუალოდ აფორმირებს ინფორმაციას აღრიცხვის

ობიექტების მდგომარეობაზე და ცვალებადობაზე და ამით ავსებს ფინანსურ ანგარიშგებას. ასეთ ფუნქციას არ ასრულებს მმართველობითი აღრიცხვა. აღრიცხვის ობიექტების გამიჯვნა ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვებს შორის არ არის შესაძლებელი, რადგანაც ორივე სისტემა დებულობენ ინფორმაციას ობიექტებზე ერთი და იმავე აღრიცხვის დოკუმენტებიდან.

16 - თეორიულმა მიმოხილვამ და მოქმედი პრაქტიკის განვრცობამ გვაჩვენა, რომ მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან ისეთი მახასიათებლებით, როგორცაა აღრიცხვის მიზანი, აღრიცხვის წარმოების აუცილებლობა, ინფორმაციის მომხმარებლები, საბაზისო სტრუქტურა, ძირითადი დებულებების გამოყენება, დამოკიდებულება დროში, საზომი ერთეულები, ინფორმაციის სიზუსტის ხარისხი, ანგარიშგების მომზადების სიხშირე, წარდგენის ვადები, პასუხისმგებლობის დონე. აქედან დასკვნა, რომ მმართველობით და ფინანსური აღრიცხვა წარმოადგენენ ერთი და იმავე დროს ერთიანობას და საპირისპირო მხარეებს, და ამ საპირისპირო მხარეს იკვლევს გზას მმართველობითი აღრიცხვა, რომელიც ივსება ფინანსური ინფორმაციის ანალიტიკური კვლევებით მართვისათვის.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოქვიუმი:

1. საქართველოს საფინანსო სექტორის უახლესი მიმოხილვა (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) (18.05.2013);
2. საბანკო სტრატეგიის ფინანსური მართვის თანამედროვე მეთოდები და ოქროს საბანკო წესი (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) (24.05.2014);
3. საბანკო და ფინანსური მენეჯმენტის განვითარების ეფექტური სტრატეგიის თავისებურებები (16.05.2015).

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის მეცნიერულ შრომებში:

1. ჯანგულაშვილი ლ. - კომერციული ბანკების რისკის შემცირების ახალი ინსტრუმენტები ფინანსური კრიზისის პირობებში. - საქართველოს მეცნიერებისა

და საზოგადოების განვითარების ფონდი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი № 3(47) თბილისი, 2013. - გვ. 72-80.

2. ჯანგულაშვილი ლ. - კომერციული ბანკების რისკების შემცირების ახალი ინსტრუმენტები ფინანსური კრიზისის პირობებში. - საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება. № 1(9). - თბილისი. - გვ 84-87.

3. ჯანგულაშვილი ლ. - კომერციული ბანკების სახელმწიფო რეგულირების და ანტიკრიზისული მართვის ხასიათი თანამედროვე პირობებში. - თბილისი. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება. № 1(11). - თბილისი. - გვ 79-85.

სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა:

1. ჯანგულაშვილი ლ. - რელური და ფინანსური ინსტრუმენტების მართვის თავისებურებები ტურიზმის სფეროში. - ბათუმი. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, II საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია, 4-5 ივნისი 2011. - გვ. 703-708.
2. ჯანგულაშვილი ლ. - კომერციული ბანკების რისკის შემცირების ახალი ინსტრუმენტები ფინანსური კრიზისის პირობებში. - საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი № 3(47) თბილისი, 2013. - გვ. 72-80.
3. ჯანგულაშვილი ლ. - ანტიკრიზისული სტრატეგიის როლი კომერციული ბანკებისა და ინტეგრირებული ფინანსური ჯგუფების კონკრეტული უპირატესობების ფორმირებაში. - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები. - თბილისი, 6-7 ივნისი 2014. - გვ. 183-190.